


ფასი 6 კაპ.



ფასი გაჰმითისა: წლის დამლევაჲმდე 1 მ. 60 კ.,
 სამის თვით — 80 კ., ცალკე ნომერი 6 კ.
 სელის მოწერა მაიღებს რედაქციაში: განოვის ქუ-
 ჩა, სახლი გურგენოვისა № 8 და წერა-კითხ-
 ვის სსსოგადოების მადახაში.

ყოველკვირული სახალხო გაზეთი

ზინაარსი

როდის ვიქნებით თავისუფლები. — გლეხის ჩივილი. —
 საუბარი გლეხებთან. — ხალხის ფული. — გლეხის
 ლექსი. — შუშის წერილი. — ცა იღრუბლება. —
 ჩვენებური ამბები. — რუსეთი. — კახონი.

„გლეხის“ რედაქცია გადავიდა განოვის
 ქ., სახლი გურგენოვისა, № 8, ქალაქის საბ-
 წოს მახლობლად.

რედაქცია ღია არის დღის 9 საათიდან 1
 საათამდის და საღამოს 4 სათიდან 6 საათამ-
 დის.

რედაქციორის ნახვა შეიძლება ყოველ დღე
 10—12 საათამდის.

რედაქციის კანტორა უმორჩილესად
 სთხოვს აგენტებს ანგარიშის გასწორება
 დააჩქარონ და ეცადნენ თვეში ორჯერ
 წარმოადგინონ გაყიდულ გაზეთის ფული.

როდის ვიქნებით თავისუფლები

—:—

ჩვენ გავიცანით, თუ როგორ უნდა
 მოეწყოს მიწის მფლობელობა და სარ-
 გებლობა. ახლა ვნახოთ, როგორ უნდა
 მოვაწყოთ თავისუფლების საქმე, როგ-
 ორი მართვა-გამგეობა დავაწესოთ, რომ
 სამართალი და თანასწორობა სუფევდეს
 ადამიანთა შორის.

მაგრამ სანამ ამის შესახებ ვიტყვოდეთ
 რასმე, გავიხსენოთ, თუ რა არის მართვა-

გამგეობა საზოგადოთ და როგორი მართვა-
 ბამგეობა არსებობს დღეს რუსეთში და
 კერძოთ ჩვენს ქვეყანაში. როდესაც ადა-
 მიანები ერთად ცხოვრობენ, ერთ ხალხს
 ან სახელმწიფოს შეადგენენ, საჭიროა, ყო-
 ველი ადამიანი ისე ცხოვრობდეს, რომ
 მეორე ადამიანს ვნება არ მოუტანოს,
 რომ ერთმა არ მოიქმედოს ისეთი რამ, რაიც
 სხვებისათვის საზარალოა; საჭიროა, ადა-
 მიანების ერთმანეთთან დამოკიდებულო-
 ბა შეთანხმებული და წესიერი იყოს, სა-
 ჭიროა, რომ ყოველმა ადამიანმა იცოდეს
 თავისი მოვალეობა მეორე ადამიანის და
 მთელი საზოგადოების წინაშე, საჭიროა
 გამორკვეული იყოს, თუ რის უფლება
 აქვს ყოველს მოქალაქეს, თუ როგორ უნ-
 და აგოს პასუხი იმან, ვინც მაგალითად
 საზოგადო საქმის თავში დგას და საზო-
 გადოების წინააღმდეგ მოქმედობს და სხ.
 ამის მოსაწყობად საჭიროა წესები, ანუ
 როგორც ჩვენ ვეძახით, კანონები.

საზოგადოებას, ხალხს, სახელმწიფოს
 საერთო საჭიროება აქვს. ასეთი საერთო
 საჭიროებაა სახალხო განათლება, ფოსტა,
 სასაპართლო, ჯარი, ურთიერთობა გარე-
 შე ხალხსა და სახელმწიფოსთან და სხ.
 ამ საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებ-
 ლად საჭიროა ხარჯი, რომელიც უნდა

გამოიღოს მთელმა ხალხმა. ყოველ წელიწადს უნდა შესდგეს სია, თუ რა და რა საჭიროება აქვს ხალხს და რამდენი ფულია საჭირო ამის დასაფარავად, ამის შემდეგ უნდა გამოანგარიშებულ იქნას, თუ საიდან და ვისგან რამდენი უნდა შეიკრიბოს ფული, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს ხარჯი საერთო საჭიროებისათვის.

დავაწესეთ კანონები, დავაწესეთ ხარჯები, მაგრამ ეს არ კმარა. კანონსა შესრულება უნდა, თუ ვინმე დაარღვია კანონი, პასუხი უნდა აგოს, გასამართლებული უნდა იქნეს. მაშასადამე საჭიროა სამართალი. აი, ამ კანონების გამოცემას, ხარჯების გაწერას და შეკრევას, სასამართლოს მოწყობას, საერთო საქმეების საერთოთ გაძღოლას — ყველაფერს ამას უწოდებენ მართვა-გამგეობას. ყოველ ხალხში ან სახელმწიფოში იმნაირი მართვა გამგეობაა, თუ როგორია კანონები, სასამართლო, როგორაა გაწერილი ხარჯები, ვის აბარია საერთო საქმეები.

დღეს რუსეთში ისეთი მართვა-გამგეობაა, რომელიც მუშა ხალხს ჩაგრავს, სულს უხუთავს, ყოველის მხრით ავიწროვებს. დღეს რუსეთში ისეთი კანონებია გამოცემული, რომლებიც სასარგებლოა მართო ერთი მუქა მდიდრებისათვის, ხელმწიფისა და მისი ნათესავებისათვის, მინისტრებისა, გუბერნატორებისა და სხვა მოხელეებისათვის. ხალხს არაფრის ნება არა აქვს, ყველგან გაბატონებულნი არიან მყფის და მინისტრების დაყენებული კაცები. ფაბრიკებსა და ქარხნებში უთვალავი მუშაა, დღე და ღამე გამწარებული მუშაობენ, მათის ოფლით მექარხნებია მილიონებს იგებენ, თვითონ მუშები კი ღატაკად ცხოვრობენ, ხეირიანი ბინა არ აქვთ, ავად გახდებიან და მათთვის არც წამალია და არც ექიმი. რუსეთში აურიცხველი მიწაა, მაგრამ მიწის მუშა გლეხებს ერთი მტკაველი მიწა არ გააჩნიათ, შიმშილით კვდებიან. ამას წინად რუსეთს ომი ჰქონდა იაპონიასთან. ვისთვის იყო საჭირო ეს ომი? რასაკვირველია, ხალხი წინამდევნი იყო ომის, ამ ომმა გააღატაკა ხალხი, ნახევარი მილი-

ონი ადამიანი იმსხვერპლა და დაღუპა. გაბედავს ხალხის შვილი, ხმას ამოიღებს და მაშინვე ომზედ უარესი აზრები დაუდგება: მთავრობა მიუსევს კახაკებს, რომლებიც ერთიან აიკლებენ და ააოხრებენ მის სახლ-კარს. გადასახადები ისეა განაწილებული, რომ უფრო ღარიბებს აწევება კისერზე; მერე ეს ფული ხალხის საჭიროებისთვის კი არ იხარჯება, არამედ უფრო მეტი წილი მეფეს, მინისტრებს, გენერლებს, ჯაშუშებს, ჯალათებს და პოლიციელებს ეძლევათ. სასამართლოც ისეა მოწყობილი, რომ ადამიანი მისგან სამართალს ვერ ეღირსება; სასამართლოც მთავრობის კაცებს და მდიდრებს ემსახურება და არა მუშა ხალხს.

რატომ არის ასეთი უსამართლობა და უწყობა დღეს რუსეთში? იმიტომ, რომ მართვა-გამგეობა ხალხის ხელში კი არაა, არამედ მეფის, მინისტრების და სხვადასხვა „ჩინონიკების“ ხელშია; იმიტომ რომ მთავრობა ხალხის მტერია და თავის ბედნიერებისათვის ფიქრობს და არა ხალხის გაჭირვებისათვის.

თავისთავად აშკარაა, რომ სამართალი, ნამდვილი კანონი, წესი მაშინ იქნება, მაშინ დამყარდება თავისუფლობა, როცა მოისპობა დღევანდელი მთავრობა, დღევანდელი „ჩინონიკობა“ და ხალხი თვითონ გაუძღვება ყველა თავის საქმეებს. ხალხს სრულებით არ სჭირია არც სხვისი მეფობა, არც სხვისი მინისტრობა, არც სხვისი გუბერნატორობა. სამართლიანი მართვა-გამგეობა სწორედ მაშინ იქნება, როცა თვითონ ხალხი იქნება ყველაფრის თავი და გამგე. მაშინ მართვა-გამგეობა მოწყობილი იქნება მუშა ხალხის სასარგებლოდ და არა ისე, როგორც დღეს არის.

ამისათვის საჭიროა, რომ თავისუფლების საქმეც ისე მოეწყოს, როგორც მიწის საქმე. ზევით ვსთქვით, რომ როცა ადაპიანები ერთად ცხოვრობენ, ერთს საზოგადოებას შეადგენენ, საერთო ცხოვრების მოსაწყობად საჭიროა წესები, კანონები. უეჭველია, ეს კანონები მაშინ იქნება კარგი, როცა მთელი ხალხი შეიმუშავებს

მათ, როცა კანონი მთელი ხალხის სურვილის გამომხატველი იქნება, როცა ხალხი თვითონ დაადგენს იმის კანონს, თუ როგორ მოაწყოს თავისი საზოგადოებრივობა. საერთო საჭიროების დასაკმაყოფილებლად საჭიროა ფული, ხარჯი, სამართალი მოითხოვს, რომ ეს ხარჯი განაწილდეს შეძლების კვალობაზე, ვისაც მეტი აქვს, მეტიც გადაიხადოს, ვისაც ნაკლები აქვს — ნაკლები, ღარიბი კი სრულებით ნურაფერს გადაიხდის. ამასთანავე საერთო ფული ნაძვილი სახალხო საჭიროებისათვის უნდა დაიხარჯოს და არ გაიფლანგოს, როგორც ღღეს, მეფესა და მის ნათესავებზე, გენერლებსა და ჯაშუშებზე. სასამართლო უნდა იყოს ხალხის სინდისი, უნდა ადევნებდეს თვალყურს, რომ კანონი არავისაგან დაიჩაგროს, რომ ერთმა ადამიანმა არ შელახოს მეორეს უფლება, რომ მდიდარმა არ შეავიწროვოს ღარიბი; სამართლის წინაშე ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ, ყველა პასუხს უნდა აგებდეს დანაშაულისათვის.

ყველაფერი ეს შესრულდება მაშინ, როდესაც ხალხი თვითონ გამოსცემს კანონს, როდესაც ხალხი გააწესებს გადასახადებს და დახარჯავს საზოგადოებრივებს, როდესაც მოსამართლეები იქნებიან ხალხისავე არჩეული ხალხის შვილები. სოფელი თვითონ მოაწყობს თავის სასოფლო საქმეებს, გამართავს სკოლას, გაიყვანს გზებს, დაარსებს საზოგადო მალახის, დაიქირავებს ექიმს თუ ფერშალს, აირჩევს ასის თავს და ათის თავებს სხვადასხვა მინდობილობის შესასრულებლად. რამდენიმე სოფელი შეერთდება და შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომ შეერთებულის ძალით გაუძღვეს საქმეებს. მაგალითად გზა გასაყვანი, რომელიც რამდენიმე სოფლისთვის არის საჭირო, ან შეიძლება ერთ სოფელს არა აქვს იმდენი საღსარი, რომ მარტო დაიქირავოს ექიმი, — ამისათვის საჭიროა ერთად მოქმედება. მერე რამდენიმე საზოგადოება შეერთდება და შეადგენს ერთს მაზრას და მთელი მაზრის მცხოვრებნი ან პირდაპირ ან რწმუნებულების შემწეობით

გაუძღვებიან მაზრის საქმეებს, აირჩევენ მოსამართლეებს, აირჩევენ მაზრის უფროსს, გამოსცემენ ადგილობრივ კანონებს, შეერთებულის ძალით დაიკმაყოფილებენ ადგილობრივ საჭიროებას. რაც საქართველოში მაზრებია — ისინი კიდევ შეერთდებიან და საქართველოს ყველა მცხოვრებნი ერთად მოაწყობენ საერთო საქმეებს, გამოსცემენ საერთო კანონებს. ასევე შეკავშირდებიან კავკასიის სხვადასხვა ნაწილები და კავკასიაც შეუერთდება რუსეთს, რომ ერთად მოიგერიონ შემოსეული მტერი, ერთად დაიჭირონ საქმე სხვა სახელმწიფოებთან, ერთნაირი ფული იქონიონ, ერთად მოაწყონ ფოსტა, ერთნაირი ბაჟები დააწესონ უცხოეთის საქონელზე და სხვა.

რა კი ასე მოეწყობა საქმე, მაშინ საჭირონი არ იქნებიან „ჩინოვნიკები“, არც დიდი და არც პატარა მოხელე. ხალხი და მისი არჩეული კაცები გაუძღვებიან და გააკეთებენ ყველაფერს.

გლეხის ჩივილი

—:—

დღე და ღამე, პირუტყვივით,
სულ რომ სხვისთვის ვიმუშავო,
რალად გავჩნდი?... მოკვდი ბარემ,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

სივავლაზე, სილატაკე
და ცხოვრება საბედ-შავო,
ქუდ-ბედად ვინ დაგაყოლა,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

არც სახლკარი, არც საწოლი
და არც მიწა სამუშავო!
ყველა ბატონს და ხელმწიფეს,
შე ტიელო ჩემო თავო!..

—

შვილს გამოზრდი... მისი მოვლით
დღენი უნდა გაიშავო.
მერე შენ რა?... მითხარ, შენ რა,
შე ტიელო ჩემო თავო?!..

—

ოცდა ერთის შესრულება,
საბრალო და საცოდავი,
მთავრობა გათხოვს : „საღდათი-ო“,
შე ტიელო ჩემო თავო!..

მერე რისთვის? იმისთვის, რომ
როცა მტარვალს გაემკლავო,
შენივე შევილის ხელით მოგკლავს,
შე ტიელო ჩემო თავო!..

მაგრამ კმარა! ძირს მთავრობავ,
ბატონო და სალოცავო!
შენ შენს მეტი ვერვინ გიხსნის,
შე ტიელო ჩემო თავო!..

ზ. ახოსპირელი.

საუბარი გლეხებთან

გლეხის მდგომარეობა

იშვიათად მოიძებნება ისეთი მუშა, რომელიც თქვენზე გაკირვებული იყოს და თქვენზე ცუდად ცხოვრობდეს.

შედარებით თქვენთან ბევრი ქალაქის მუშა მეფურად ცხოვრობს. აბა ერთი ვნახოთ, რა გაქვთ თქვენ სასიხარულო ცხოვრებაში? რას გარგიათ თქვენ ეხლანდელი განათლება? რა გიშველიათ, რა სარგებლობა მოგიტანათ მეცნიერებამ, ხელოვნებამ და მრეწველობამ!

მთები მალაროებით დათხარეს, ზღვები არხებით შეაერთეს, ფაბრიკები და ქარხნები მუშებით აავსეს, აუარებელი მანქანები მოიგონეს, უშველებელი შენობები ააშენეს, მოიგონეს ტელეგრაფი, ათასნაირი მანქანები და წამოკიმეს ურიცხვი სასახლები, თეატრები, ძეგლები და ეკლესიები; გაჩნდა სამაგალითო ხელოვნება, ათასი სხვა და სხვახაირი მეცნიერება, მაგრამ თქვენ რა? რა გიშველა თქვენ ხელოვნებამ და მეცნიერებამ? რით შეგიმსუბუქეს გაკირვებული ცხოვრება? არაფრით.

თქვენი სიცოცხლე ისევე მწარეა, როგორც იყო ასი წლის წინად.

ზაფხულში და გაზაფხულში თავისუფალი და უსაქმო მდიდრები დასასვენებლად და წმინდა ჰაერის სასუნთქავად სოფლებში მოდიან და ბუნებით სტკებებიან, თქვენ კი ამ დროს რიყრაყიდან მზის ჩასვლამდის მუშაობთ; ზამ-

თარში ეს ბატონები ქალაქებში განცხრომაში არიან, ერთ ღამეში ათასობით ფლანგვენ და აღარ იციან, რაში დახარჯონ თქვენი ნაოფლარი, თქვენ კი საქონელთან ერთად ცხოვრობთ და აყროლებულ ჰაერში იხრჩობით.

თქვენი მიზგრეულ-მიზგრეულ ქოხებში სივიწროვეა. ავადმყოფობა თითქმის მუდმივი სტუმარია თქვენს ოჯახში.

თქვენ სკამთ ლობიოს, კართოფილს, შეინდის შეკამანდს, დომხალს, ღომს და მკადს, ხორცს კი იშვიათად ხედავთ. თქვენ კატორგელივით მიბმული ხართ სხვის მიწაზე და სხვის ადგილზე. როცა ერთი ან ორი გროში დაგკირდებათ, თქვენ მაშინვე ცხრამთას იქით მიდიხართ დღიურ სამუშავოს საშოვნელად.

თქვენ არც ფული გაქვთ და არც დრო, რომ ან თქვენ ისწავლოთ რამე, ან შეიღებს ასწავლოთ და ამიტომ მუდმივ გაუნათლებელი და უცოდინარი ხართ. მდიდრებს წინანდებურად სძულხართ და ეზიზღებით მხოლოდ იმიტომ, რომ ორიოდ გროში ვერ იშოვებთ და განათლება ვერ მიიღებთ. იმათ არა სწამთ, რომ თქვენ სარგებლობა მოგაქვთ კაცობრიობისთვის, რომ თქვენ ხართ ამ ქვეყნად მუქთახორების მარჩენელი და მხოლოდ თქვენ ჰკვებავთ მთელ ქვეყანას პურითა და კირნახულისით.

თუ გაბედეთ და პაპიროში ჩაიდეთ პირში, მემამულენი და მღვდლები გარყვნილ და გაფუჭებულ კაცს დაგიძახებენ. თუ უქმე დღეში თქვენმა ცოლებმა, რომელნიც თქვენსავით მუშაობენ და შრომობენ, ხეირიანი კაბები ჩაიცვენ, ქალბატონები ერთ აყალმაყალს ასტეხენ ხოლმე: აი რაზე ხარჯავს გლეხის ქალი თავის ფულსაო, თვითონ კი დღე და ღამე ფარჩაში და აბრეშუმში დიარებიან, ხელიდან ხელთათმანებს არ იშორებენ და მთელი დღე მხოლოდ იმას ფიქრობენ, ხვალ როგორი ტანისამოსი შევაკერინოთო.

თუ თქვენ მოჯამაგირედ მიდიხართ ბატონთან, თქვენი ცხოვრება ნამდვილ ჯოჯოხეთად გადაიქცევა. თქვენ მაშინ ნამდვილი მონა ხართ და არაფრით განირჩევით ბატონის საქონლისაგან.

თუ იჯარით იღებთ მიწას, მოვალე ხართ

აუარებელი საიჯარო გადასახადი გადაიხადოთ და ბოლოს უნდა გაკოტრდეთ.

თუ თქვენ მონადევე ხართ და ბატონის მიწაზე ცხოვრობთ, ნახევრად თქვენ და თქვენი ოჯახი ბატონისა ხართ. წამდაუწუმ ძღვენი უნდა მიართვათ, მუშაობაში უნდა უშველოთ, შეშა უნდა მოუტანოთ, მოუტრავს უნდა მიეფეროთ და რამე აჩუქოთ, თორემ სიცოცხლეს გაგიმწარებთ.

სიბერეში ან სრული სიღატაკე მოგელით, ან მათხოვრობა. რამდენი ოჯახი დაინგრა ასე, რამდენი გაღატაკდა, რამდენი გადასახლდა სხვაგან და რამდენს მოელის ასეთივე ბედი!

მერე ვისი ბრალია ყველაფერი? ვინ არის დამნაშავე, ვინ არის თქვენი დამლუპველი? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

მეხი.

ხალხის ფული

(ხარაგები)

I

ბევრჯერ გავკვირვებოდა, უთქვამთ: ამა და ამა აჯანყებმა, ამა და ამ რკინის გზის გაყვანაში ძალიან ბევრი სსსლმწიფო ფული აჰკრავს; ან კიდევ ამა და ამ მინისტრმა სსსლმწიფო ფული ბევრი გადააღება თავის დარღუდვის კიდობანშია და სსსა: ამინი. როცა ესე ამბობენ, ბევრს ჩვენს განს ღიმილი მოსდის ზირსე და ნიშნის მოგებით ამბობს: კარგა უქნია, სელმწიფეს მეტს რას გამოარჩება. ამის ისინი იტყვიან, ვისაც საქმის ძალა არ ესმის; თათქოს ის ფული, რომელიც მინისტრებმა ან ინჟინრებმა გაიბანეს, ვიღაც სსვისა უფილიფოს, ან მართლა თითონ სელმწიფისა. ამ უკუგებაშია ხალხმა არ იცის, რომ ის ფულები, რომელსაც გერე ჰქვანტავს მთავრობა და მინისტრები თუ სსსა მოხელეები უწყალოთ ეხიდეებიან თავიანთ სორტებში ერთგვარ ჭიებივით, ის ფული არის ხალხის ფული, შაურობით და აბზობით მოკრეფილი გლეხობაში, მუშებში, ვაჭრებში.

არ იციან მათ, რომ სსსლმწიფო სსსლმწიფეს ხეუნი სელმწიფე თავის ფულს ერთს გრამსაც არ ჰხარჯავს, თუმცა მეტისმეტად მდიდარია. ამის ფულს ვიღაც გამოკვირებს, როდესაც ხალხის ფულიდან ეს ეველა მდიდრებსეუდ მდიდან დადმინა

თავისთვის ეოველ წლობით ჰხარჯავს, ხალხის ფულითსოვად, ოცდა სუთს მილიონამდის.

ამასხადამე, მე ვამბობ, სსსლმწიფოში რაც ფული იხარჯება, არის ხალხის ფული და არა შეიფისა. —

აბა მას ვნახოთ, მართლა ხალხის ფულია ის, თუ სსსა ვინმე თავის გულკეთილობით ანუეს ამ ფულს სსსლმწიფო სსსლმწიფეში.

ჯერ ავიდეთ მავალითა. სოფელი რომ არსებობს, ამის თავის მოხელეებაც ჰქვანს: მამსახლისი, გზირი, მსწავლებელი, ვარაული, მკველე და სსსანა. ამთ ეველას ჯამაგირი უნდა. ვინ უნდა მისცეს? რასკვირეველია, იმავე სოფელმა. სსსა ვინ ოხერი გაიცხელეს შენთვის თავს? მასხადამე ამ მოხელეების სარჯი უნდა გაიწერონ და გადახდონ კიდევ იმ სოფლის მცხოვრებელთ. ესლა ის სოფლის ფული რომ მოაკრიბებს, სოფლის ხანინდარს ჩაბარებენ. მერე ამის მამსახლისი უბრძანებს, რომ მკველას მიეცი ჯამაგირი, მსწავლებელს, გზირსა და დანარჩენთ. რასკვირეველია, თავის თავსაც არ დაივიწყებს, ჯამაგირსაც იღებს და შეიძებს მეტიცა გადათორას. ხმას ვერაინ გაცემს, ბატონია!

ესლა ვიკითხოთ, მამსახლისმა რომ სოფლის მოხელეებს ფული დაურიგა ჯამაგირში, ვისი იყო მამსახლისისა თუ სოფლისა? რადა გამოცნობა უნდა, სოფლისა, ეველას მოამძისებს.

მერე მანდა ვარ, — სოფლისა. აბა, შევადაროთ, სოფლის მავირ სსსლმწიფო ავიდეთ, ისევე ისე არ იქნება სსსლმწიფე? უეჭველია, ისევე ისე იქნება.

აი როგორ.

სსსლმწიფო არსებობს, ვთქვათ რუსეთის სსსლმწიფო. რუსის ხალხს მართავ-გამბეობა — მთხელეები სსსარია: სკოლები უნდა, სსსამართლა და სსსა. ამ მოხელეებს — მეფეს, მინისტრებს, გუბერნატორებს, მხრის უფროსებს, მოსამართლეებს და უფრო წვირლებსაც ჯამაგურები უნდათ (მერე როგორი ჯამაგირები აქვთ! ჩვენებურმა გლეხმა რომ გაიგოს, თვალებიდან სიბრზის წინწყლები წამოსცვივა!*) სიდან იღებენ ესენი ჯამაგირს, ვინ მისცემთ? იქნება სელმწიფე აძლეკო? თქვენც არ მომიკვდეთ! თათონაც ჯამაგირს იღებს და სსსან თავის ფულიდან მისცემს?

*) რომელს მოხელეს რამდენი ჯამაგირი აქვს, ამის შემდეგ მოკახსენებთ.

მეუ როგორ შოულობენ ფულს ჯამგირებისთვის და სხვა სარჯისთვის? აი სწორეთ ისე, როგორც ჩვენს სოფელში. აიღებენ, გამოაჩინებენ ეთ-ველ წილად, რამდენი დასკირდებით დასასრულად ჯამგირებში, სსსუქრის მისცემდე მდიდარ გენერლებისთვის, რკინის გზის გასაყვანად, სტრანჟიკებისთვის და სხვისთვის, როგორც თათონ სურთ. ანგარიშის მომკათსვა ვინ არის! შერე ამ ანგარიშით გაწერენ ხელსხედ სარჯად, დაადებენ ბეშებს და აქედან სსსირო სსგებს; სხივას, წავის დაგვიძვარებენ. ღარიბო ხელსო, შენ კო ისდე.

სარჯს რომ შემოგვაწერენ, ახლა მოგვისევენ სტრანჟიკებს, ზრისტეებს, მამასხლისებს და ვაი მის დედის დემოს, ვინც თავის დროსე არ გადასდის შექერალს სარჯს. ბეურჯელ ვინსავო თქვენც, ძიბიბალებო, და მეც, რომ სსცადავ-სამრადლო ქვრავს უკანსკენელს ქვას სტეცებდენ; დარბის, დაავამყოფებულს გლესს ერთადერთს სესს ღოგინს ართქედენ და ამნიონს სარჯში უეიდენ.

გვინსხვს, დიას, გვინსხვს.

სხვა წვალებს და ჭირს ნუდარც კი მოვიგონებთ, რომელსაც გლესი კაცი ეწევს სარჯის გადასათისთვის. ან როგორ წუხს და სული ეელში ებჯანება, რომ ვერ მოასკერს ფულს შოვნა თავის დროსედ. ამის გამო სმარად მრჭსეედრია ბეჭის ფთაში მსხვილი მათრახი და იფნის სსსრე.

მაგრამ ამის ნუდარ მოვიგონებთ მეთქი. ხომ გათსარიო, ებ თქვენც იტოო უხემოთ.

ამნიონად მოჭკრებენ ფულს — ანუ სარჯს და შეიტანენ სსინსში. შერე სსინიდან აძლევენ ეველს, ვისთვისც ემტებთ და რამდენიც სურთ: გაჭყავთ რკინის გსება, თავისთვის აშენებენ დიდ სსსლებს და სხვა.

ეს სსინსში შესული ფული ვისია, სელმწიფისია? არა. მინისტრებისია? არა. მეშ ვისია? ცხადსედ უცხადესია, ვისიც არისო, მეტეეოთ თქვენ. ებ ფული ხელსმა გადახდა, მამსადაშე ხელისისა და არა სხვა ვისიმეო.

კეთილი და ზსტიოსანი. მეც ებ მინდოდა.

აი ამ ხელსის ფულს სსინსში შეტანილს, ვეძსით სსსელმწიფო ფულს.

ეგრეც უნდა დაგუძსოთ, — რადგანც სსსელმწიფოს შუადგენს ხელსი და არა მთავრობა — მეფე-მინისტრებო. მაგრამ რადგანც ჩვენში — რუსეთში და სსსაროველოშიც გაბატონებულად

მთავრობა, ხელსს აღარსა ჭკითხვს, ამიტომ ეველს ეველმა ესმის ეს სიტუვა.

რომ ვიტეეოთ „სსსელმწიფო“-ვო, თათქის ეს ამის ნსხვადეს, რაც ეკუთვნის მეფე-მინისტრებს და არა ხელსს, თუშცა ეგრე კო არ უნდა იფთს.

მამსადაშე ის ანჯანეო, რომელიც რკინის გზის გაყვანის დროს ახარავს სსსელმწიფო ფულს, ხელსის ფულს ქურდია. ის მინისტრო, რომელიც ახარავს (შერე ნეტავ. რომელი მინისტრო არ აქცევს ეგრე) სსინიდან მილიონებს და თავის ჯიბეს ასუქებს, სსხის ფულს ქურდია.

სსსელმწიფო სარჯს ეველს ისდის, მდიდარი და ღარიბი, გლესი და თავადი, ვაჭარი და მუშა.

სარჯს თრნიონად გვასდევენებენ, ე. ი. თრნიონს ტეავს გვადობენ. ამ თრნიონს სარჯსედ, ან ვინ უფრო მეტს ისდის-მდიდარი, თუ ღარიბი — შემდეგში მოვილამარავთ.

გლეხი შვილი.

გ ლ ე ხ ი

ღლე და ღამე ოფლს ვიწურავ, არათერი მბაღია.

ჩემი საგებ-სახურავი დაგლეჯილი ნაბაღია.

სამკაულად შემჩინია: წალდი, ცელი, ბარი, თოხი და თავისა შესაფარად ერთი გამკვარტლული ქონი.

თითქო ხვედრად განგებისგან მერგო მარტო თრევა გუთნის; ვშრომობ მულამ, და ნაშრომი სხვას ახარებს, სხვას ეკუთვნის.

რაც რამ კარგი საქმელია — ჩემი კლავის ნაყოფია, მე კი მარლოს და მჭადს ვლოღნი. იგიც არ მაქვს საყოფია.

სხვის სიკეთეს მე ვამზადებ, თვითონ ვრჩები უბედური, ყველასაგან მეყურება გინება ღ საყვედური.

სიამე და მოსვენება ჩემთვის უცნობი ხილია,

არ ვიცი, სიკვდილ-სიცოცხლე რომელი უფრო ტკბილია.

უქმად მყოფები ღბინობენ, ცხოვრება იმათ ხელშია, მე კი, მშრომელსა, შიმშილით ნერწყვი მიშრება ყელშია;

მეტის მეტ გასუქებისგან ლუკმა ძლივს ჩასლით პირშია; ღბინის დროს, თვალს მარიდებენ, მიწვევენ გასაქირშია.

როცა ვსკირივარ, მაქებენ, ისე — მაგდებენ ჩირადა, სიმართლის თქმაზედ მკიცხავენ, მათრახსაც მცემენ ხშირადა.

ადამიანად არ მთვლიან, რახან არა მაქვს სიმდიდრე, არ იქნა, კაცის უფლება ამ ქვეყნათ ვერ დავიმკვიდრე.

ვისაც რომ დავუმეგობრდი, გინდ მტერსა, გინდა მოყვარეს, ჩემი დამკნარი ხორცისთვის სუყველამ დანა გაღესეს.

ვინ წყეულმა დამაწერა მულამ ტანჯვა, სივავლახე? თუ ხარის ბედს მიწესებდა, რაღად მომცა კაცის სახე?

ცის შეხედვას მიკრძალავენ, მიწისკენ გეპყრას თვალიო, თუ გაგიქირდეს — გაჩუმი, ეს არის შენი ვალიო.

ხუცები ჩამჩინებენ: შენ ღვთისგან ხარ ნაკურთხიო, ეცადე, რომ არ მოგვაკლო ზედაში და საკურთხიო.

ამა ქვეყნად გაიქირვე, იქ დაგვხდება ნათელიო, ყველაფერი მოიკელი და იყიდე სანთელიო.

მკვდრებსაცა ნუ დაივიწყებ, მაწირინე ხშირადაო, თითო მანეთს გამოგართმევ, არ დაგიჯენ ძვირადაო.

ღვთის მაგივრად დაგვაყენეს მხოლოდ გვიგდე ჩვენ ყურიო,

სხვამ რაც გითხრას, არ უსმინო, გაგაბრიყვებს მაცდურიო.

მღვდელ მოლაზონს რასაც მისცემ, ყველას ღმერთი აფასებსო, გადაგიხდის მაგიერსა ერთის ნაცვლად ათასებსო.

წუთი სოფლად რად გქირია სიმდიდრე და ქონებაო, ჩვენ მოგვეცი, რომ იმ ქვეყნად მოიპოვო ცხოვებაო.....

არა! მუშამ თავის ბედი თვითონ უნდა გამოიხადოს, თუ არ უნდა, რომ მუდმივად იტანჯოს და ივავლახოს.

არავინ ჩვენ არ გვიშველის, ნუ გვექნება სხვის იმედი; ჩვენვე უნდა გამოვქელოთ ცხოვრება და ჩვენი ბედი.

გბ. ტენდუბაძე.

მუშის წერილი

—:—

აშხანაგულ გლუხულ!

მე ვარ ქალაქის მუშა, თქვენთან გამოზდილი, თქვენთან ერთად გაქირვების ამტანი, თქვენსავით ყოველი მხრიდგან შევიწროვებულნი. ჩვენ ორთავენი ძმები ვართ იმიტომ, რომ ერთ ტაფაში ვიწვით, ერთნაირად ვიტანჯებით და ერთი გვაქვს მისწრაფება. როგორც ჩვენთვის, ისე თქვენთვისაც საჭიროა თავისუფლება, საჭიროა თანასწორობა, საჭიროა ეხლანდელი წესწყობილების მოსპობა.

ქალაქებში აუარებელი ფაბრიკა-ზავოდებია, რომლებშიაც ასობით და ასიათასობით ვმუშაობთ მუშები. მაგრამ ჩვენთვის არ არსებობს სამართალი, რომ შეგვეძლოს თავი დავახწიოთ აუტანელს მდგომარეობას. გაქირვებულნი დღესა და ღამეს ვასწორებთ, წელზე ფეხს ვიღვამთ, ოფლში ვიწურებით, მაგრამ მაინც გვშია, მაინც გვწყურია, მაინც ვერ ამოვსულვართ გაქირვებულ მდგომარეობიდან.

ჩვენის ოფლით და ჩვენის შრომით გასუქებული ღბინანი „ხაზინები“ მულამ ფუფუნებაში არიან; მულამ კარგსა სქამენ, მულამ კარგსა

სვამენ და კარგს სადგომში სცხოვრობენ. ჩვენ კი ვსცხოვრობთ ნესტიან სარდაფებში; ამით ხშირად ავად ვხდებით და ვესალმებით წუთი-სოფს.

სოფლებში, როგორც ჩვენში, ისე მთელ რუსეთში, აუარებელი მიწებია. მაგრამ ვის ეკუთვნის ეს მიწები? იმას, ვისაც უნდა ეკუთვნოდეს სამართალით?! ე. ი. ვინც ოფლსა ჰღვრის მიწის დასამუშავებლად? სუყველამ ვიცით, ამხანაგებო, რომ დღეს მიწები არ გეკუთვნით თქვენ (გაქირვებულ გლეხებს), არამედ ჩაუგდიათ ხელში მუქთა მკამელებს: მემამულეებს, სახელმწიფოს და სხ... თქვენ კი, დღე და ღამეს ასწორებთ, სიმწრის ოფლსა ჰღვრით, მაგრამ მაინც მშვიერი ხართ, მაინც შვეწროვებული ხართ, მაინც ვერ ამოსულხართ იმ გაქირვებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც თქვენ იმყოფებით. რა არის ამხანაგებო, ამის მიზეზი? რა არის და **უსამართლობა**, რომელიც მძიმე უღლად გვაწევს კისერზე. ამის მიზეზია ის, რომ მიწები, ქარხნები, ფაბრიკები და სხვა სიმდიდრე ხელში ჩაუგდიათ იმათ, რომელნიც არ მუშაობენ.

ღიღი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც რუსეთ-იაპონიის ომი გათავდა. ვინ მოსთვლის რამდენი უდანაშაულო სისხლი დაიღვარა ამ ომში; რამდენმა ჩვენმა ამხანაგმა დალია სული ბრძოლის ველზე. ვისთვის იყო საჭირო ეს დამაქცეველი და ხალხის დამღუბელი ომი? რატომ მოაკლდა ჩვენს სამშობლოს თავ-დადებულნი მებრძოლნი? რატომ დაიღვარა სისხლი უდანაშაულო ხალხისა?

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. უმანკო სისხლი უდანაშაულო ხალხისა იღვრება არა მარტომში, არამედ მშვიდობიან დროსაც ქალაქებში და სოფლებში.

გამხეცებული კახაკები თავის უფროსის ბრძანებით ხვრეტენ და ახჩობენ ჩვენ ქმებს და ამხანაგებს იმიტომ, რომ იმათ გაბედეს და სამართალი მოითხოვეს. ერთი სიტყვით მუშა ხალხი და თქვენც გაქირვებულნი გლეხებო, ყოველი მხრიდან დაჩაგრული ვართ.

მერე სად არის ხსნა გაქირვებული ხალხისა? როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ დავახწიოთ თავი ამ აუტანელ მდგომარეობას, რომ მშრომელნი არ ვიტანჯებოდეთ მთავრობის უსამარ-

თლობისა და თვითნებობისაგან, რომ მშრომელნი არ ვმუშაობდეთ მდიდრების გასასუქებლად, რომ სხვისი ლუკმა არ ვიკოთ და ჩვენი ნაშრომი ჩვენვე გვეკუთნოდეს?

ეს კითხვები თვითეულ ჩვენგანს ებადება თავში, და თვითეული ჩვენთაგანი ვალდებულია, გადასწყვიტოს იგი.

ამხანაგებო! თქვენ კარგათ იცნობთ ეხლანდელ მთავრობას და მის ვერაგულ მოქმედებას. მთავრობა მდიდრების, მექარხნეების და მემამულეების დამცველი და დარაჯია. ამიტომ ეს მთავრობა უნდა დავსცეთ ძირს. გაიხსენეთ, ამხანაგებო, 9 იანვარი: რამდენმა ჩვენმა ძმამ დაღვარა უმანკო სისხლი პეტერბურგის ქუჩებში, რამდენი მებრძოლი დახვრიტეს და ჩამოახრჩვეს, გაიხსენეთ აგრეთვე ბელოსტოკის „პოგრომები“, თბილისი 29 აგვისტოს, — 22 ოქტომბერს, 22 დეკემბერს, და უკანასკნელად 4 ივლისს. აი ამხანაგებო, მარტო ეს სამიოდე მაგალითი რომ ავიღოთ, საკმარისია მთავრობის მხეცური მოქმედების, თვითნებობის და უსამართლობის დასამტკიცებლად. მე არ შეუდგები აქ იმის ჩამოთვლას, თუ რამდენი საზიზღრობა და სიმხეცე ჩაუდენიათ მთავრობის ავაზაკებს.

ეს თქვენც კარგათ იცით; თქვენ თითონ გიმოგიცდიათ. ყველა ამას დაუმატეთ კიდევ უკანასკნელი ფლიდობა მთავრობისა. მთავრობამ დაითხოვა სახელმწიფო სათათბირო. რათა? რისთვის? იმისთვის, რომ ხალხის გაგზავნილმა დეპუტატებმა გაბედეს და აღიარეს მთავრობის წინაშე მხოლოდ ზოგიერთი ჩვენი მოთხოვნილება!..

მაშ, რაღა დაგვრჩენია, ამხანაგებო?! კიდევ გვქონდეს ნდობა მთავრობისადმი? კიდევ უნდა ვემონოთ იმათ, ვისაც ვემონებოდით? არა და არა, ამხანაგებო! ჩვენ მთავრობას აწ ვერაფერში ვერ ვენდობით. კმარა მონობა! გვეყო ამოდენა ტანჯვა და წვალება! გვეყო ამოდენა უსამართლობა, გვეყოფა რაც გვცარცვეს და გვვლევას!

მივსცეთ ძმურად ხელი ხელს, შევკრათ ერთი პირი, და გვქონდეს ნამდვილი ერთობა და მედგრად შევძახოთ ჩვენს მტარვალებს:

აწ აღარ გვინდა მონობა, გვეყო რაც გვცარცვეთ და გვევლიფეთ. ჩვენ გვინდა გავხდეთ

თავისუფალნი და თავისუფლად მოვიხმაროთ სიმწრის ოფლის შრომის ნაყოფი ! დღეის იქით არ მოგცემთ არც სალდათს, არც არავითარ გადასახადებს !“

ეს კი, ამხანაგებო, ბოლოს მოულებს წურბელა მთავრობის და მუქთახორა მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობა-ფართაშობას.

მაშ, აღიმაღლეთ ხმა, გამოდით ჩვენთან ერთად და დავამხვრიოთ ის უსამართლობის უღელი, რომელიც თქვენცა და ჩვენც ეგრე მძიმედ დაგვწოლია კისერზე. თქვენც შეუერთდით, ამხანაგო გლეხებო, მთელ რუსეთის გლეხობას და მოითხოვეთ, უპირველეს ყოვლისა, მიწა და თავისუფლება. მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია დავახწიოთ თავი ჩვენ ბრძანებლებს, მხოლოდ ბრძოლით შეგვიძლია, მოვიბოვოთ ყველა ის, რაც ჩვენთვის აუცილებელია.

მაშ ბრძოლა, ამხანაგებო, ბრძოლა მედგარი!...

მუშა კალა გურული.

ცა იღრუბლებს...

ცა იღრუბლებს...

ბნელი ძალები კვლავ იგრებენ უკანასკნელ ძალ-დონეს და ერთსელ კადევ უმხადებენ მრავალტანჯულ ქვეყანას ათას გვარ სხვახდარ ბორტებს, ერთსელ კადევ სურთ, განივარდონ ამის ძვალ-ტყავად ქვეყლს ზურგზე და მათ შეარყიონ მისი ერთ-სულფანა მოქმედება მათ წინააღმდეგ.

მთელი რუსეთის გლეხები და მუშები მოათხოვენ მიწას და თავისუფლებას და ამის ნაცვლად მათ უმხადებენ ბორკილებს; მოათხოვენ ზურს, მათ კა აწვიდონ ტყუილს; სურთ თავისუფალი წმიად ჭკერი, მის ნაცვლად კი მათ ამწუვდევენ და გზავნიან ცივ ქვეყნებს და შავსელ სტრუსდობებს; სურთ თავისუფალი, დამოუკიდებელი ცხოვრება და მის ნაცვლად მათ ფორანსავით თავს დასწვნიან ეწვასება; სდდათება, კენ. გუბერნატორება და ჯალათება.

მაგრამ როგარ შეახერხებს ეს თავსედა არაშკათესე ბატონი აბობქრებულ გლეხებს და მუშებს, რომელნიც ერთ-სულფანად და მედგრად

გაძისხან: — „ან მიწა და თავისუფლება, ან — სიკვდილი სახელოვანიო“ !..

არა... არა და არა !

რა ეთა დღემდე გლეხი? რას წარმოადგენდა ეთა ჩვენს ცხოვრებაში ?

არაფერს ! ის ეთა უღონა არსება, ფეხით სთულავდა ყველას მის თავ-მოკვარებას და შარ-ფანებას.

რას წარმოადგენს ის დღეს ?

ყველაფერს !

დღეს ის რეჟოლაუციას დედაბობა, დღეს მან ძირანად უნდა შესწავლას მთელი წესწობა-ბილება და დაამუაროს ახლა ცხოვრება.

...და აი, დღეს ის ადრეა მკვდრეთით და ვაი ამას, ვინც მის სამართლიან მოთხოვნილებებს წინ გადაედობება და ურჩობას გაუწევს.

ხალხის, შეგნებულა ხალხის მოძრაობა, ის აბობქრებულა ზღვას, რომელსაც არაფრისა არ ეშინა და არაფრის ერადება, მაისწრაფის წინ და ერთის დაკვრით განადგურებას უქადის ყველაფერს, რაც ამის წმიდა-წმიდას წინ გადაედობება.

ცა იღრუბლებს...

ჭკერი დამძიმდა, ადამიანს სუნთქვა გაუჭირდა.

საცა გაეფუტებს, დაიჭკეპს მება, ამოვარდება გზავალი და განსწმენდავს ამ ცოდვილ ქვეყანას.

ცა იღრუბლებს...

ბოგანო.

ჩვენებური ამბები

ქიზიუში

გლეხთა გაფიცვები ქიზიუშიაც არის. ქოდალოს საბოქაულოს მცხოვრები გლეხები მთლად გაფიცულან მიწის მესაკუთრე თავად-ახნაურობის წინააღმდეგ, მქიდრო ორგანიზაციული კავშირი შეუკრავთ ერთმანეთს შორის და შესაფერი მოთხოვნილებანიც წარუდგენათ მემამულეებისათვის. ამ მოთხოვნილებათა ქვა-კუთხედა მიწის ღალის ნაშვიდალის მიცემაა, რაიცა თავადებმავე უნდა წაიღონ ადგილიდან.

რაჭა

შარშან, როდესაც გლეხთა მოძრაობა სასტიკის სისწრაფით მიექანებოდა წინ, ს. ხვანტიკარასა და ტოლას გლეხებმა მოსთხოვეს თ.

ყოფიანებს, დაეთმოთ ოჯახის საკურობისთვის საყოფიანო მთიდან შეშა და ხე-ტყის მასალა. ყოფიანები უარზედ დადგნენ (გარდა დიმ. ყიფიანისა), ხოლო როდესაც სოფელმა ბოიკოტი გამოუცხადა, გამოაცალა ბიჭები და მოსამსახურე ქალები; ინებეს დათმობა. თავ. დიმ. ყიფიანმა არა თუ მთა დაუთმო გლეხებს, დაურიგა ღარიბებს სიმინდი, პური და ღვინო, იმ პირობით: როდესაც მოგცეთ ღმერთმა, ჩემს თავს ნუ დამიკარგავთო. ღარიბი გლეხები გაანთავისუფლა იმ ფულიდან, რომელიც ემართათ, დახია მათი თამასუქები, როგორც მითხრეს, თითქმის ას თუმანზე მეტისა. გავიდა მას შემდეგ დრო; დადგა რეაქცია. ყიფიანებმა ისარგებლეს ამით და დაიწყეს ჩივილი: გლეხებმა მთები გაგვიკაფესო; თუმცა მათ ჩვენი წერილობითი საბუთიც აქვთ მთების მოხმარებისა, მაგრამ ეს საბუთი მაშინ შიშით მივეციტო. ხოლო დიმ. ყიფიანი არ ჩაერია მომჩივან სახლის კაცების გუნდში.

პირველად რომ რაჭაში დამსჯელი რაზმები მოვიდა, ს. ხვანჭარას გადაწვეს 48 კომლი გლეხი. ვინც გადაუწვავი დარჩა, იმას სარჩო-საბადებელი მოუსპეს. დაიჭირეს ერთი გლეხი ტყეშელაშვილი, ღღემდე ციხეში აყურყურტეს, ხოლო ღღეს, როგორც ამბავი მოვიდა, რუსეთში გადაუსახლებიათ. ტყეშელაშვილს ციხიდან გამოუგზავნია გამოთხოვების წერილი ცოლშვილისა და ძმებისათვის. უმცროს ძმას იასონ ტყეშელაშვილს, როგორც კი წაუკითხავს ძმის წერილი, დაუვლია თოფისთვის ხელი და გაქცეულა, მისულა ლუარსაბ ყიფიანთან, უსროლია იმისთვის და იქვე მოუკლავს. ლუარსაბი მოხუცი კაცი იყო, იქნებოდა თითქმის 100 წლის და არც ცუდი სახელი ჰქონდა ხალხში. იქიდან გამობრუნებულა და სოფ. ტოლას მოუკლავს თავ. ლევან ყიფიანის ცოლი. ლევანისათვისაც უსროლია, მაგრამ ტყვია აუცდენია. იმის შემდეგ მიუხტა ბესო ბაქრაძეს და იმის შვილს, თითქმის ათჯერ ესროლა, მაგრამ ვერც მათთვის მოურტყვამს. მერე გაქცეულა და იქვე სოფლის თავზე გამოქვავულში შესულა.

ამ ამბის გაგებისათანავე გაჩნდა მაზრის უფროსი ყაზახებით და ბოქაული სტრაჟნიკებით. ღყეშელაშვილმა კლდიდან გაისროლა

რამდენჯერმე. ყაზახები იქით-აქეთ დაიფანტნენ და უკან გამობრუნდნენ. მთელი სოფელი შიშის ზარმა მოიცვა, ზოგი სად გადაიხიზნა და ზოგიც სად. ყიფიანები შეგროვდნენ ერთ სახლში. მაზრის უფროსმა მათ ლეკი სტრაჟნიკები მიუჩინა დამცველად. ამბავი მოვიდა, რომ 2 ივლისს, მცველ სტრაჟნიკებს და სოფლებს შეტაკება მოუვიდათო. სტრაჟნიკებს მოუკლავთ ორი სოფელი. სოფლებსაც ორი სტრაჟნიკი ლეკი ძალზე დაუჩენიათ. ამათი მორჩენა თურმე ძალიან საეჭვოა.

კახეთში

წელს პურის მოსავალს საერთოდ არა უტყირს-რა. თუ მხედველობაში მივიღებთ მიწის სიმჭლექეს, თესლის უფარვისობას და მოყვანის პირობებს, საშუალო მოსავალი მოვა; გაღმა-მხარეს-კი გამოღმაზე უკეთესია და საერთოდ იქით მიწა მეტ მოსავალს იძლევა, თუმცა ჯერ კიდევ გამორკვეული არ არის, მოსავალი კალოში გამოჩნდება. გაღმა მხარეს მკა უკვე თავდება და ლეწვას მიჰყვეს ხელი, ხოლო გამოღმა შუა მკაშია ხალხი.

ჯერ მკა არც-კი გათავებულა და ეხლავე რალაც უკმაყოფილების ნიშნებსა ვხედავთ, როგორც ინძრევა კახეთი, ღალის ნაოთხალის მიცემაზე ყველა უარზეა. აგრარული მოძრაობის აშკარა ნიშნებია. ვნახოთ, როგორ ჩაივლის ღალის საქმე.

ჯარი სვანეთში

სვანეთისკენ ჯარი ტყვის მტყორცნელებით, როგორც ვწერდით, ოთხ ამ თვეს გაემგზავრა (400 კაცია). წარსულ მაგალითებით შეშინებულმა სვანებმა ოჯახობა, როგორც გვატყობინებენ, ტყეებში გახიზნეს. სვანები თითქმის ყველა მოთხოვნილებას აასრულებენ, მხოლოდ თავადებს ვეღარ დაეგებიათ ქვეშ. 7 ამა თვეს ჯარი ღაშხეთისაკენ გაემგზავრა.

ფოთის მუშები

ამას წინათ ფოთის დამტვირთველი არტელი გაიფიცა და ჯამაგირების მომატება მოითხოვა. საქმის მოსაწყობად გაჰგზავნეს უფროსი აგენტი, მაგრამ არა გამოვიდა რა. შეადგინეს ახალი არტელი რუს-თათარ მუშებისაგან, მაგრამ როდესაც ფოთში ყავიდნენ, ოცდა ათ კაციდან მხოლოდ ოთხი დარჩა სამუშაოდ, მუ-

შაობა ვერ მოახერხეს. შემდეგ გაგზავნეს აისორების არტელი 35 კაცისგან, მაგრამ ესენიც უღონონი და უვარგისნი გამოდგნენ. მეტი ნაწილი უკან დაბრუნდა. ახლა ფოთის სადგური სასესეა ვაგონებით; გუშინ ექვსი გემი დაუტვირთველი წავიდა ბათუმს.

არა-საიმედო კაცების სია

მთავრობას განკარგულება მოუხდენია, რომ პოლიციამ და ჟანდარმებმა ყველგან შეადგინონ სია იმათი, რომელნიც შენიშნულნი არიან მთავრობის საწინამდეგო საქმეებში. რასაკვირველია, ეს სია მთავრობას იმიტომ უნდა, რომ ამ პირების წინამდეგ თავისი ზომები მიიღოს, ზოგი დაატუსაღოს და ზოგი ვადასახლოს.

გაზეთების დაკეტვა

მთავრობის განკარგულებით დაიკეტა ორი ქართული გაზეთი „ახალი ცხოვრება“ და „სიმართლე“. მთავრობას არ მოსწონს, როდესაც მართალს ამბობენ და ამჟღავნებენ მის უსვენდისობას და ძალმომრეობას.

ღუშეთი.

ღუშეთის მაზრაში გლეხების მოძრაობა უფრო ძრიელდება. კვალად სდგება რაზმები და კვალად იწყებენ მოქმედებას. არეულობის ცეცხლს მთავრობამ მხოლოდ ნაცარა მიაყარა და ჭფოქრობდა ცეცხლი ჩაქრაო, მაგრამ მოსტყუვდა. ცეცხლი ნაცარ ქვეშ გაჩაღებული აღმოჩნდა და უნდა მოველოდეთ, რომ მალე საკირის აღს მოატრიალებს თავზე. ხალხი ჯერ-ჯერობით მინდვრის სამუშაოში—მკასა, თიბასა და ლეწვაშია გართული...

დ. ხარაგაული.

10 ივლისს გაიფიცა მ. კიკნაძის სამტრეველზე ასამდე ქვის მუშა. მოითხოვეს:

დღიურ მუშებისათვის 8 საათის სამუშაოდღე; ზრდილობიანი მოპყრობა; მუშების დათხოვნა და მიღება, როგორც დღიურების, ისე ნარდ მომუშავეთა თვით მუშების საქმეა, დღიური ქირა უნდა ეძლეოდეს ყველას, განურჩევლად წლოვანებისა, 80 კაპიკიდან 1 მ. 20 კაპიკამდე; ქვის მთლელებს (კალატოზებს) 2 მ. 50 კაპ. ნარდ მომუშავეთ (რიადჩიკებს) უნდა ეძლეოდეთ 10 მ. 50 კ. და 8 მ. საყენზე, მიწების გადაწმენდა ტახტებზე ყველგან „ხაზეინის“ ანგარაშზე; ფული უნდა ეძლეოდეთ

თვეში ორჯელ, მეორეთ არა უგვიანეს ერთის თვისა და სხ.

მუშების მოთხოვნებიდან ორშაბათს საღამოსვე იქმნა დაკმაყოფილებული და სამშაბათს 12 ივლისს, მუშაობა კვლავ განახლდა.

თელავის მაზრის თავ. აზნაურობა

თელავის მაზრის თ. აზნაურობას კრება ჰქონია და დაუდგენია: „თელავის მაზრის აზნაურობამ კერძო კრებაზე მსჯელობა იქონია საადგილ მამულო საკითხის შესახებ და, მიიღო რა მხედველობაში როგორც თავისი, ისე გლეხების ინტერესები, დაადგინა—ეცნობოს გლეხებს შემდეგი:

1. თავად-აზნაურობა ჰგონობს, რომ გლეხებს მიწა ესაქიროებათ, რომ მიწა უსამართლოდაა დანაწილებული;
2. აზნაურობა თანაგრძნობით მიეგებება ყოველნაირ საადგილ-მამულო რეფორმას, როგორც იქნება შემუშავებული სახელმწიფო სათათბიროს მიერ;
3. მემამულეების და გლეხების აწინდელ დამოკიდებულებას დროებით მოწესრიგებისათვის, აზნაურობა საჭიროდა სცნობს დათმობას; ეს საქმე შემუშავებულ იქნება ერთმანეთის თანხმობით და ნებაყოფლობით;
4. ამ შეთანხმების განსახორციელებლად დაწესდეს ადგილობრივი კომისიები გლეხების და აზნაურების წარმომადგენლებისგან.

გლეხების მიტინგი.

კავკასის გზაზე სოფელ ვარნოვკაში გლეხებმა, როგორც გვატყობინებენ, რამდენჯერმე მიტინგი გამართეს, მერე წითელის ბაირაღებით (ზედ ეწერა: „მიწა და თავისუფლება“) წავიდნენ და მთელს ახლო-მახლო სოფლებში მუშაობა შესწყვიტეს. შემდეგ რკინის გზის სადგურზე მივიდნენ და მუშებს ხელი ააღებანეს სამუშაოზე. პოლიციას იარაღი-კი ჩამოართვეს.

მკვლელიობა

სოფ. ხედურეთის (ქართლი) მახლობლად ხანჯლით მოუკლავთ მღვდელი ა. დოლიძე. ს. ბუგეულში (რაჭაში) მოუკლავთ აზნ. კონსტ. გიორგობიანი. მიცვალებული სამი დღე ეგდო თურმე გარეთ, პატრონს დამარხვა ვერ გაუბედნია. გიორგობიანს ჯაშუშობას აბრალებენ თურმე.

2 ივლისს ღამე მოუკლავთ ს. ჯვარისას აზ. მერაბ წერეთელი. მოკლულის სახლიც ვადაუწვავთ.

რ ა ჭ ა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ყოველ საღამოს სოფლათ თავს იყრიდა მუშა გლეხაკობა და ყველას ენახე ეკერა სათათბიროს ამბავი. გლეხებს დიდი იმედი ჰქონდათ იმისა, უსათუოთ მოგვიბოგებს მიწას და თავისუფლებილა. 12 ივლისს ვახუშტებმა ამბავი მოუტანა შვების მომლოდინე გლეხაკობას, ხელმწიფემ სათათბირო დაითხოვაო. გლეხებმა რომ გაიგეს, დუმიდან დებუტიტები გამოარეკესო, საშინლათ ამოიხრეს და სთქვეს: ეს იყო მთავრობის დაპირება? იხახოდენ, გამოგზავნეთ კაცები და რაც გიქირთ, დაგაკმაყოფილებთო! ეხლა კი ვაგივეთ, როგორი მამაც ყოფილა ჩვენი მთავრობა, ბარემა ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. გინდა შიმშილით მოგმკვდარვართ, გინდა მათ დავუხოცივართ, სულერთია. თუ ერთხელ როდისმე ვყოფილვართ ვაჟაკები, არც ეხლა შევარჩენთ ჩვენს დაბრიყვებას ჩვენს მტრებსო. საერთოთ რაჭაში დებუტიტების გამოყრამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

რაჭველი შურდული.

რ უ ს ე თ ი

გლეხების მოძრაობა.

სარატვის გუბერნიამი გლეხებმა შესანიშნავი გაფიცვა მოახდინეს, გაფიცვა 15 ივნისს სოფ. არკადაში დაიწყო და მალე სმს მზრის სოფლებს მოედო. ეს გაფიცვა დიდად სიყურადღებოა თავის კარგის მოწობათ, მთ უმეტეს, რომ ეს მოძრაობა თითონ გლეხებმა მოაწიეს, განათლებულ კაცებს და გარეშე ხელს ამ საქმეში მონაწილეობა არ მიუღიათ.

გაფიცვა სოფ. არკადაში დაიწყო თავად ვაისკისკის მამულში, ადგილობრივმა გლეხებმა მოთხოვეს თავ. ვაისკისკის, ამ შორე კამოფიტიულ მინდვრის მკაფრად, რომელსაც დიდი სანია გვამლევ იჯარათ, ახლო მინდარი მოგვეც სხნავადო. თავადის მოურავმა მეტად გააჰიანურა ხასუსის მიტემ და დანიშნულ ვადაზე—15 ივნისს,—ხა-

სუხი არ მისცა გლეხებს; ამიტომ გლეხებმა ამ დღიდან გაფიცვა გამოაცხადეს, მოახდინეს კრებები და მოთხოვნილებანი შეამუშავეს. არკადაკელ და გარეშე სოფლებს მცხოვრებთა მოთხოვნილებას მიემხნენ ზენსელი და ტამბოველი გლეხებიც, რომელნიც მრავლად იყვნენ მოსულნი თავიანთ სხსლობებთ სმუშად; ამ მოსულ ხელს არავითარი სხსარი არა ჰქონდა ცხოვრებისა. გლეხებმა გაფიცვის კომიტეტი აირჩიეს და დაავალეს, რომ უველას ხელმძღვანელო სოფლის მცხოვრებნი და სმუშად მოსული გლეხები შეერთებინა. ეს მოვალეობა კომიტეტმა შესანიშნავათ შეასრულა. თვით ზოლიციელ მოსულეს გაატყუდა მშვენიერი წესი, რომელიც კომიტეტს დაეწესებინა და დაეცვა. კომიტეტის ბძანებით სხსმლის დუქნები დაიკეტა, ღოთობა სხსტაკათ აკრძალა და რაკი ღოთობა მოახლო, მოახლო ხსუბი და ავლადავლიც; გამოცხადებულ იყო, რომ წესიერების დარღვევისათვის უველას სხსტაკად იქნება დანჯალი, მეტადრე ქურდობისათვისო. ეოველი უწესობა მოახლო. ადგილობრივი მცხოვრებთ მეტად უკვირდათ, რომ მთელი გაფიცვის დროს ჩვეულებრივი ღოთობა, ქეიფი და ქურდობა არ იყო. ორ ბიჭს თავ. ვაისკისკის ბოტანში კიტრი დაეკრათათ; კომიტეტმა გაიგო ესა და სხსაღსო სმარდაღში მისცა ეს ორი ბიჭი. სხსმარდაღმა დამნაშავეთ მიუსჯა ორ-ორი სხათი ავშნის ბადახი გლაჯეთ ცოცხებისათვისათო. კომიტეტმა შეწირულების მოკრება დაიწყო არკადაკსა და გარეშე სოფლებში თულად და სხსთავით და სხსადილეები მოაწყო დამსუუღთათვის. რომ სხსადილეებს საქმე არ გასწირებოდა, კომიტეტმა ადგილობრივი გლეხები თავ-თავიანთ სოფლებში გაგზავნა და არკადაკში მოლოდ იმითი დებუტიტები დატოვა. შემდეგ ურდობაზე უველას სოფელმა ერთხანით მოთხოვნილებას შეამუშავეს. გაფიცვის კომიტეტს სხსა და სხსა სოფლიდან მოთხოვნილებას მოსდიოდა, მქადაგებლები გამოგზავნიეთო. მქადაგებლები გაგზავნეს და კომიტეტის მოთხოვნილებანი ბეგრმა სოფელმა და სხსთავადობამ მიიღო. ამინად, გაფიცვა მოედო 10—12 დიდ სხსთავადობას, სმს მეზობელ მზრში მდებარეს. სხსამ გაფიცვა იხრდებოდა და უფრო და უფრო მეტს მომხრეს იძენდა, მკას დროც დადგა, მემამულენი მუშებს ვერსად შოულობდნენ. არკადაკში მემამულეების მოურავები მოდიოდნენ მუშების დასაქირავებლად, სხსათა შორის თავად ვაისკისკის მოურავ-

ბატ. გლეხებმა თავიანთი ფასი გამოუყენეს, მოსთხოვეს აგრეთვე სავაჭრო მიწების გამოცვლა და თვითონ თავ. ვიანსკისკო კომიტეტში დაბარეს. 40 მან. მავგორად, თავადმა 30 მანეთი შეაძლია და მისი მომკვში და მიწების გამოცვლასაც დაჰპირდა. გლეხები დასთანხმდნენ თავადის პირობას, მაგრამ თავადმა შეძლევა გადაიფიქრა. გაფიცვა გაგრძელდა; სხვა შემამულებები მოურიგდნენ კომიტეტს და ყანებიც მოაძვეს, ვიანსკისკის ყანები კი მუშის ელოდებოდა.

მოვიდა გუბერნატორი გრაფი ტატიშჩევი. ეტად ზირად დაეუბნებინა გაფიცული გლეხები, მაგრამ ამოდ. გუბერნატორს მეტად უკვირდა, რომ გლეხები ქალებს 40 კახ. ნაკლებ არ ამუშავებდნენ. გლეხებმა უთხრეს, აბა შენმა ცოლმა სცადოს და მავ ფასში ამუშავოს. ამის შემდეგ გუბერნატორი წავიდა და ბრძანება გასცა, სისმლის დუქნები გააღეთ. რავი დუქნები გაიღო, დაიწყო ღოთობა შემამულებებმა გამოცხადეს ჯამუშები, რომლებიც არყის ასევედნენ შორიდან მოსულ ღარიბ-ღატაკ ზენსელ და ტამბაკელ გლეხებს და კანკების შემწეობით სამუშაოდ მიჰყავდათ. თანდათან, არყისა და მოსულ მუშების გაჭირების გავლენით, კომიტეტს გავლენა დაეკარგა. ზოლიცაი სელისი დატუსადება დაიწყო. სერობო ექიმი ბერდიჩევსკი დაატუსადეს, ვითომ გაფიცვის მოთავე ის ეოფილიყოს. სელისი ათას კაცზე მეტი შეიყარა იმის განსინაფისუფლებლად, მაგრამ ექიმმა ურჩია, დამშეადდით. ექიმი სარატოვის ციხეში წაიყვანეს. კომიტეტის წევრები ჩუმ-ჩუმად თავ-თავიანთ სადგომებში დაიჭირეს. ერთი მათგანი ადგილობრივ სკოლაში დაემალა ზოლიცაის, მაგრამ მაინც დაიჭირეს. მართალია, გაფიცვა თითქმის ჩაიშალა. მაგრამ იქაურა გლეხობა მაინც დარწმუნებულია, რომ თავ. ვიანსკისკის კართოფლის ამოდების დროს ფასწავლით ჭკუას და იმის ჯვარს ამოვიერთო. მაშინ მოსული მუშები ადარ დაგვიშლიან, თავადი ხვენ ხელში იქნება.

ამ არა ხვეულებრივმა გაფიცვამ სოფ. არკადკისა და იმის გარშემო სოფლებში 17 დღეს გასტანა; ეს გაფიცვა თითქმის ჩაიშალა, სამაგეროდ გაფიცვა ამჟამად სხვა სოფელს მოედო და სხვა ახალ ადგილებში იხენ თავს.

სხვა გაფიცვებიც არის. ვილხოს ტენერალ-გუბერნატორს კოვჩის გუბერნიის შემამულებთაგან დეპუშს მიუღია, ცუბობინებენ — მთელს გუბერნიას

სოფლის მუშების გაფიცვა. შემამულები ჯარსთხოვლობენ გაფიცულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ.

ასევეა ზოლტავის გუბერნიასში. თავ. კონსუბის შემამულები გაფიცვა დასრულდა; რადგან მუშებმა ვეღვადიერი აისრულეს. სამაგეროდ, მეორე მახრაში დაიწყო გაფიცვა. აქ მოავრობა ძალიან სხატაკად იქცევა. დღე არ გავა; რამდენიმე კაცი არ დაიჭირან. მარტო 7 ავლისის ზოლტავაში ჩაიყვანეს და სტუსადობა ჩასვეს 24 გლეხი და ერთი მღვდელი.

კურსკის გუბერნიის ლოკვის მახრაში გაფიცვა დასრულდა შემამულებმა ხელფასის მოუშტეს.

ხერნიგოვის გუბერნიის ორ მახრაში გლეხებმა დადგინეს, ივარის ფულად, წინანდელ ოცი მანეთის ნაცვლად გაიღონ მოლოდ შეიდა მან. დესეტინაში, სოლო თუ შემამულები თანხმანა არ იქნებიან, მოსინა მიწები და სავაჭრო ფული სინინაში შეიტანონ.

მუშათა მოძრაობა

მუშების მოძრაობა დღითიდღე იხდება. არ არის ისეთი ქალაქი, სადაც არ იმართებოდეს კრებები, გაფიცვები. გაფიცულნი მუშები თხოვლობენ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას, ქირის მომტებას, სამუშაო დღის შემცირებას და სს. ვეღვალზე უფრო შესანიშნავა მუშურების გაფიცვა მოსკოვში, პეტის მუშების გაფიცვა, ქვა-მადნების მუშების გაფიცვა ეპატრინისლავის გუბერნიასში და გაფიცვა ადესის ნავთ-სადგურში. ადესში მატროსები გაფიცულნი იყვნენ ერთი თვის განმავლობაში და მიადწიეს თავის მიზანს: მათ შეუხრულეს ვეღვალ მოთხოვნილებანი და მატროსებმა დაიწყეს მუშობა. მაგრამ ადესის ტენერალ-გუბერნატორმა არ განთავისუფლავა გაფიცვის დროს დატუსადებული მატროსები. ამიტომ მატროსებმა ხელახლა ადეს მუშობაზე ხელი და მათ შეუერთდენ ნავთსადგურის ვეღვალ მუშები. — მუშები ვეღვალ ტდილობენ შეერთდენ და კავშირები შეადგინონ. მრავალ ქალაქში დაარსდა ბოლო დროს მუშურების, მკერავების, ქვის მთლებების, მეტლების, მეფების, უბრალო მუშების კავშირები. ზოგაერთი კავშირი, მავალითად მუშურების კავშირი, ისე გაიხარდა, რომ მთელს რუსიას მოედვა და შეერთა სხვადასხვა ქალაქების ერთი და იმავე ხელობის მუშები. კავშირები ერთმანეთს მხარს უჭერენ და გაფიცვის დროს დახმარებას

უჩენენ ერთი მეორეს. გაფიცვის დროს მუშები ცდილობენ, სრულებით არ დალიონ არაუა და სხვა-ზოგადთ მკვარი სხსმელი, სსსტიკად სდევნიან იმს, ვინც დაარღვევს ამხსნებობს დადგენილებს. ვარშავაში კი მუშები ზირდაზირ ძარცვავენ და ანადგურებენ მკვარი სხსმელის დუქნებს. აგრეთვე ვეკლან ვსედავთ იმსსც, რომ მეტი და მეტი შეკნება შედის მუშებში და მუშები თავგამოდებით ებრძვიან შავრსხმელებს და სულავსებს. მუშებმა კარგად იციან, ვინცა მათი მტერი, რომელიც არაფერს არ დაუთმობს მათ ნებაყოფლობით და ამიტომ მხნეთ ემზადებიან ბრძოლისათვის.

მოდრობა ჯარში.

თუ რა ღრმად გაუდგამს ფესვი უკმეოფილებს კახელებს შორისაც კი, რომელიც ეველასეად უფრო სხნდო ბურჯებდა ითვლებიან მთავრობისთვის, ამს გვიჩვენებს კახელების წერილები. დონის როსტოვის დეპუტატს სარტასიანს მიუღია 4 ივნისს კახელების მკათე სოტნისკან (რომელიც რკინის ცხებს დარაჯობს) შემდეგი განცხადება: „ძიებო და მამნო! მთელი რუსეთის სხლხის მიერ არჩეულნ და მოწვეულნ ხელმწიფის მიერ! თქვენ უნდა დაკმაყოფილოთ რუსეთის სხლხი. ჩვენ ვითხოვდობთ, რომ გვენებს მიწა მისცეთ. ამოხრეულნ მთელის საქრისტიანისნო! მოგმართავთ თქვენ, როგორც ღვიძლ ძიებს. ჩვენ, კახელებმა, მივატოვთ მამა, მოხუცებული დედა, ცოლები მცირე წლოვან ბავშვებით. ისეც გავლაცხდით და გაწველდით და ახლა ამს დაერთო მოუსვლობა. გთხოვთ ჩვენ, ჯარში მიწვეული კახეები, რომელიც სმიხელ სამსახურს ვაწვით: ვერაფერი ვერ გავაწვივია ჩვენ უფროსებთან, რადგან ისინი გსჯიან და სიკვდილს გვემუქრებიან, კატორგაში გავსენით გავსინებენ. ამ გვარ მუქართ გვაშინებენ, რადგან ჩვენ ერთმანეთი გვიანება. ბანო რწმუნებულნო, გთხოვთ თავი შეიწუხოთ და ეცადეთ, რომ ჩვენ სხლში დაგვებრუნონ, აზრუხეთ ჩვენ შობილებსეად, რომელთაც მძიმე შრომა არ შეუძლიანო.“

კ ა ნ ე ნ ი

ხშირად ისმის ესლ სიტყვა „კანონი“. ბევრს ჭკონია, რომ სხსმელმწიფო სთათობრო ეცდება ისეთი კანონი გამოსცეს, რომ მშრომელ სხლს მიწა და თავისოფლებს მიეცესო. სხვები კი, ზირი-

ქით, ამბობენ, რომ სთათობროსკან ნურაფერს გამოკლიათ.

ვინ არის მართალი და ვინ არის მტყუნა? აი ამის გამორკვევა სსჭირო. მაგრამ ჯერ ერთი ვაკითხოთ, ეველა კანონი სსმართლიანია? დიდა ხანი არ არის მას ქეთ, რაც სხლს ჭვიდიდნენ თსმადეთში და სცვლიდნენ ძაღლებში. მამის სხლს ადამიანსავით კი არ ექცეოდნენ, არამედ როგორც ზირუტყვებს და უბრლო ნიუთს. ისიც გაიხსენეთ, რომ ამს კანონით სხადიოდნენ და დარწმუნდებოთ, რომ კანონი მუდამ სსმართლია როდა.

ამს სსე: კანონი არის სსმართლიანი და უსმართლო. მაგალითად: ერთი კანონი ამბობს, არ შეიძლება არც ვისმეს მოკვლა და არც ქაღების ნამუსის ახდაო. ასეთი კანონი სსმართლიანია. მაგრამ... მაგარიც ის არის, ასრულებენ ამ კანონს თუ არა? ეველამ ვიცით, რომ რუსეთში და და ჩვენშიც გენერლები, ჯარის უფროსები, რსხმის უფროსები, უბრლო აფიცრები, ჩაფიცრები, ჯარის კაცები და ეახსები უმთწავლოდ სოცავენ და აწვადებენ სხლს, ანადგურებენ და სწვამენ იმთ სხლკარს, ნამუსს ხდიან ქაღებს და ნორხ ქალიშვილებსაც კი. ამის კანონი არ არსებობს და მანც ამ ვაჟბატონებს მთავრობას სრულიადც არა სჯის, ზირიქით, აჯილდოვებს კიდევაც.

ესლ ხომ სედავთ, რომ ისინი, ვისც სელში ძაღლ უჭირავს, ძლიან სსმართლიან კანონსც მსოლოდ ამ დრომდის ასრულებენ, სხნამ ეს კანონი სსჭიროა და სსარგებლო, ძაღლ კი მუდამ უფრო ძლიერთა სელშია ხოლმე. ძლიერთი ეოველთვის იმისთანა კანონებს სწერენ ხოლმე, რომ ამ კანონებით შეიძლებოდაც სუსტის დანჯგრა. ეს კანონები რომ დწვრიდებით გადაშინჯოთ, დარწმუნდებოთ, რომ ეველა კანონი უსმართლოა და ეოველნარი უსმართლობაც დაკანონებულია. თუ მანც და მანც სსმართლიანი კანონიც არსებობს, ასეთი კანონი მსოლოდ იმისთვის არის დწვრილი, რომ ეს კანონი მსოლოდ დაბეჩავებულებს შეასრულებინონ, კანონების დმწერნი და ძლიერთი კი ამ კანონებს არ ასრულებენ. იმთ თავიანთი კანონი ქეთ. აი, მაგალითად, იმათი კანონი რას ამბობს:

ვინც ძლიერთა, მართლიც ის არის.

სცდება ის, ვინც ჭვიქრობს, ვითომ ქვეყნის

კანონით განაგებდნენ. ქვეყანას მუდამ ძალა განს-
ტებს. ასე იყო ჩვენი დრომდე.

აქნობამდე შემამულები, მექარხნე-მეფაბრა-
კები, მდიდრები, მღვდლები და მოსულენი ატყვევებ-
დნენ ხალხს და ამ საქმეს არც კანონი უშლიდა,
რადგან იმათ ხელში იყო ძალა. ეგვიპტე კანონი
იმათ სსსრუგებლად იყო დაწერილი. მართლაც,
ქალაქსად დაწერილი კანონი იმათ მცარტველ-
ბასაც სსსრუგარს უდებდა, მაგრამ ისინი ათას სრი-
კებით გვერდს უქრევენდნენ ასეთ კანონებს და არ
ასრულებდნენ მას. ასეთი ხალხი დანაგრულებზე
საკლებია, მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რისგან მოს-
და, რომ ძალა მათ ხელშია?

იმიტომ, რომ ხალხის გონება დასმულია.

იმათ კარგათ იცინ ეს და ძალიან ცდილობენ,
რომ ხალხი მუდამ სიბნელეში დარჩეს. ისინი
სხვებს ნებს აძლევენ სოფლებში სსსრუგებლები
გასსნან, მაგრამ მსსრუგებლებს ნებს არ აძლევენ,
რომ გლეხებს ელანარავინ, არ აძლევენ ნებს,
რომ სოფელში კარგი წიგნები გაფრტვლენ და
სამკითხველში აქონიონ სეირანი გასეთები და
წიგნები.

თუ სოფელში ასეთი კაცი მივა, რომელიც
გლეხების განათლებას მოასურვებს, განდობა ჩა-
ფარი, ბოქაული, ჟანდარმი და ამისთანა კაცს ან
ციხეში ჩამწყვდევენ, ან სხდმე შორეულ ქვეყანაში
უკრავენ თავს.

სხვადასხვა სოფლებისა და მარტების გლეხე-
ბი რომ შეიკრიბონ თავიანთ განსკირზე მოსადა-
ნარაკებლად, მთავრობა მსმხვე ვერაღეს მოჭყვე-
ბას ხოლმე, „არაქა, ხალხი ჯანხლად“ და ეგვიპტის
ციხეში ჩამწყვდევენ.

ხომ ხედავთ, რომ იმათ, ვისაც ხელში ძალა
და ხელმწიფობაა, ეგვიპტე ძლიერ სინათლის ეში-
ნიანთ. მართლაც და, რათ არის ჯარის კაცი მთავ-
რობის მონა-მორჩილი? რათ და იმიტომ, რომ
ხალხის გონება დასმულია. ავიღოთ თუნდ სსს-
დათი. ის თავის უფროსების ბრძანებით აწიოკებს,
ხოცავს უბრადო ხალხს და მათ ქონებას ანადგუ-
რებს. ის თავისვე ხელთ იჭრის ეგეს, თავის-
ვე ხელთ ჭკედავს იმ ბრკილებს, რომელთაც მო-
ნობაში უჭირავთ მთელი ხალხი და თვითონ სსს-
დათიც.

ჩაფარი, ზოლიციელი, ციხის ეარაული — ეგვი-
პტის ხალხის შვილები არიან. ეგვიპტის ხელს უწ-
ვობენ ხალხის დანაგრეს, მის გადატყვევება-გადარო-

ბებს, ეგვიპტის თავის ხელთ იკეთებენ ბრკი-
ლებს.

ერთხელ კიდევ ვამეორებთ, რომ ხალხის გო-
ნების ბრძლია, რომ ძალა და ბატონობა ხალხის
ხელში კი არ არის, არამედ ერთი მუჭა მუქთა-
სორების ხელში, რომელნიც ხალხის შრამითა
და ნათფლართ ცხოვრობენ, თვითონ კი არაფერს
აკეთებენ და ეგვიპტე მდიდრები კი არიან.

ეს ვაუბტონები მხოლოდ მსმინ დაკარგვენი
თავიანთ ძალას, როცა ხალხი თავის განსეულს, რო-
ცა მიხვდება, რომ იგი თვითონვე ხელს უწევს
თავის შებოტვას. მსმინ მოელებს ბოლო მათ ბატო-
ნობას.

ანრიღის დამლევეს სსსრუგმწიფო სთათობრო
შეიკრიბა. მის ხელში იყო ბატონობა? ემორჩილე-
ბოდა მის ჯარი, ეახსებო და ჟანდარმები? არა,
ჯარი და კახეები მის კი არ ემორჩილებო-
დნენ, არამედ ისევ ძველ ბატონებს და ბრძანებ-
ლებს.

ისინი წინანდებურად ემორჩილებიან თავიანთ
უფროსებს, მათი ბრძანებით ხალხს ისევ უწევლად
უფლებვენ, იკლებენ, ახსრებენ და სწავავენ. უფ-
როსები იმათ ავიდდოვებენ, და ცარტვა-გლეჯო-
სა და ქალების გაუბატოებების ნებს აძლევენ.

ხომ თქვენც დარწმუნდით, რომ სთათობრომ
საქმე ვერ გასწორა. ნუ იტყვით, ვითომ სთათ-
ობროს ბრძლი ვოფიდიფოს, რომ მან ახალი და კარ-
გი კანონები არ შეიმუშავა. ესლა ხომ იცით, რომ
კანონი აქ შუაში არ არის. ვისაც ხელში ძალა უჭი-
რავს და ვინაც ბატონობს ამ ძლით, ის არას-
დროს არ დაემორჩილება სამართლიან კანონებს.

ესლა იმათ დიდი იმედი აქვთ ჯარისა და მის
სიბნელისა. ისინი ეგვიპტე მეტად ესლა იმაზე
ზრუნავენ, რომ ჯარის კაცს თვალები არ აქი-
ლოს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ჯარის კაცს არ აკო-
თებენ სსსრუგინდ გაგზავნილ წერილებს, თუ ამ
წერილებში მოხსენებულა, რომ ჯარის კაციც
ადაშიანია, რომ ისიც ხალხის შვილია, რომ იმა-
საც უნდა ჭქინდეს სინიდიისი. იმათ კარგად ესმით,
რომ მათთვის სთათობრო კი არ არის სსსში,
არამედ ხმა ჭქმინიტებისა და სიამართლისა, რომელ-
თაც შეუძლიანთ თვალა აუხილონ და განათლონ
ჯარის კაცი. მთავრობას ესმის, რომ ამ დღეს,
რადღესაც ეს მოხდება, იმის ბატონობას ანდერ-
დი აკება, რადგან მის ძალა ადარ ექნება.

ზოგაერთებო იტყვიან: რისთვის შეიკრება სათათბირო, თუ ვერაფერს გააკეთებდა?

მართლაც, სათათბიროს არაფერი გაუკეთებია, მაგრამ მისი შეკრება სსსრ-სთვის იყო.

საღსამაოა იხილავთ თავისი სანდო კაცები, წარმომადგენლები და დაავალა მათ, რომ საღსამის სსსრ-ს შექმნისთანავე მთავრობისთვის. აქამდის საღსამი ნორმა და უსუსური იყო. მას გონება კარგად ვერ უჭრიდა, მას სწამდა, ვითომ შეტერბურგში მთავრობის გული ექვის იმის გაჭირვებაზე, რომ მან არ იცის მისი ჭირ-ვარამი და რატო წარმომადგენლებისგან გაიკეთეს ამ გაჭირვებას, მაშინვე დაეკავშირებოდნენ საღსამის მართლმადიდებელ სსსრ-სთვის.

გაუიდა დრო და შეტერბურგში თავი მოაყარეს საღსამის არჩეულმა კაცებმა. მათ სმამდღა მთელ ქვეყნის წინაშე აუწვეს მთავრობის საღსამის საშინელი უბედურება და გაჭირვება. იცის საღსამს, რომ მათმა არჩეულმა კაცებმა ზური და სამართალი სთხოვეს, სთხოვეს ისე, როგორც შეიძლება სთხოვს სოფელ მამას: მორჩილებით და კრძალვით. მაგრამ მთავრობის ჭკუაში არ დაუფიქრა ასეთი „მამობა“. მთავრობის არ მოეწონა საღსამის წარმომადგენლების მართალი სიტყვა და გარეკა სათათბირო და არც ზური მისცა და არც თავისუფლება. ეახსნებო, სამსუდრო და გაძლიერებულ დაცვის წესებო, ეკონტროლებო, წარბაზნებო და ტყვიის მტვრერტყვებო — აი ამით გასცა მხსუსი მთავრობამ საღსამის მოთხოვნას.

რუსეთის საღსამს კადევ ჰქონდა მთავრობის იმედი, მაგრამ ესლა სამუდამოდ დაჰკარგა მან ნდობა მთავრობისადმი. საღსამს თავლება აქიდა და დაწმუნდა, რომ ის მთავრობისგან ტყუილები-სა, წარბაზნებისა და მათრახების მეტს არაფერს მიიღებს.

მაშ სულარ იტყვიან, რომ სათათბირომ არაფერი არ გააკეთა. მან სობლოდო აუხილა საღსამს თავლება. შორს არ არის ის დღეც, რატო ჯარსაც აქილება თავლება.

მაშინ საღსამს ვედარავინ შეასრულებინებს უსამართლო განცხადებებს. მაშინ საღსამი გააორგანებულია ძლიერ მოთხოვნის მიწას და თავისუფლებას და მის სურვილს წინ ვედარავინ გადაეცლება.

კარ—ი.

რედაქტორ-გამომცემელი მ. ადამაშვილი.

ახალ ხელისმომწერთა საყურადღებოდ:

„გლენის“ პირველი № რედაქციაში აღარ მოიპოვება (დაიბეჭდა 3000), ამიტომ ახალი ხელისმომწერნი ამ №-ს ვერ მიიღებენ.

„გლენის“ ავანტიპი პროპინციფიცი.

ქ. ქუთაისი: ქალაქის საბჭო, ვიქტორ მახვილაძე. წიგნის მაღაზია „კოლხიდა“.

ქ. ბათუმი: ქალაქის საბჭო, პ. გამყრელიძე.

სადგური საშური: კასრი გიორგი ჩარხიშვილი.

ჭიათურა: პ. ბერიძე. ილიკო კაკაბაძე.

ყვირილა: წიგნის მაღაზია განჩილაძის. პლატონ ლეჟავა.

ფოთი: ონისიმე ყვანია. მიხეილ ესაკია.

სამტრედიო: კირილე კონრეიძე.

დიდი-გვიჩაიში: ნიკოლოზ სოსელია.

ქ. გორი: მისა აღუშვილი.

ქ. დუშეთი: მღვდ. ცაგუნაშვილი. ზაქ. სვიმონიძე.

ქ. თელავი: ივანე პაატაშვილი.

ქ. სიღნაღი: გიგო შაშუმლაშვილი.

დ. ზონი: მოსიკო ქელიძე.

დ. ცხინვალი: ნიკო კასრაძე.

ქ. იზურგეთი: პარმენ თოთბაძე და გავთოს ბიურო ტულუშისა.

ქ. სოხუმი: ბ. მიძიგური. ბ. თელო სხოკია.

ქ. ახალციხე: კოსტანტინე გვარამაძე.

ყველა ზემოხსენებულ პირებთან მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „გლენზე“

ყოველდღიური საზოგადოებრივი და სალიტერატურო გაზეთი

უ რ ო მ ა

სურათებისა და მატერიალი ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქში ვაგზაგარეშების წლით	7 მან.	საზღვარი-გარედ ერთის წლით	11 მან.
ეთის თვით	50 კაპ. სურ.	ერთის თვით	1 მან.
დამატებითი	80 კ.		

პირველ ივანისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება 4 მან.

კანტონის აღრესა: ვანქის დადი ქუჩა, სსსლი მარტინუხოვისა.

სტამბა „იღმალნი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქუჩა, მილოვის სსსლი № 6.